ხელშეკრულება N30

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **8 აგვისტო 2017წ.**

ერთის მხრივ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია" (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მამია ჯანჯალიას სახით და მეორეს მხრივ შპს „სავარძელი" (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ქეთევან ზარანდია სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე - 3 მუხლის პირველი „ს[1]" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა" პუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1.ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია საბიუჯეტო სახსრებით, 1.2 მუხლით განსაზღვრული საგნის სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესამაბამისად:

1.2.

დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	CPV კოდი
საოფისე სავარძელი (სკამი YS 947-2)	6 (ცალი)	170	39113100

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვების ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. შესყიდვები ობიექტის ჯამური ღირებულება შეადგენს 1020 (ერთი ათას ოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი ხარჯების და ყველა გადასახადის ჩათვლით.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

მუხლი 4. შესყიდვების ობიექტის მიწოდების პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.2. საქონლის მიწოდების თარიღია - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2017 წლის 22 აგვისტომდე.

მუხლი 5. შესყიდვების ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ ლოჯისტიკი იოსებ ჯოლოგუა.

5.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. (სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ ფაქტურა) წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

მუხლი 6. ანგარისშწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიწოდებული საქონლის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით საქართველოს ეროვნული ვალუტაში (ლარი).

6.2. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მომსახურების მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1. შეამოწმოს მოწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.1.2. მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დადგენილ ვადაში შესრულება.

7.1.3. მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა.

7.2. შემსყიდველი ვადებულია:

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

მოსთხოვოს შემსყიდველს მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. უზრუნველყოს საქონელის მიწოდება ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში და პირობებით;

7.4.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

მუხლი 8. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხელშეკრულების განსაზღვრული მომსახურების გაწევა უნაკლოდ, თუკი მომსახურება არ აღმოჩნდება სრულყოფილი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი.

8.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.3. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

8.4. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

8.5. ფორსმაჟორული გარემოებების გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02% -ის ოდენობით.

8.6. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.7. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2017 წლის 30 ნოემბრისა.

მუხლი 10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც არ გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს სათანადო შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

12.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.

12.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ, წერილობით ან/და ზეპირსიტყვიერად ხარვეზის მიზეზების მითითებით აცნობებს მიმწოდებელს.

12.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 13. სხვა პირობები

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს.

13.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

13.3. ნებისმიერი ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში, შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ მხარეთა მიერ შედგენილი წერილობითი შეთანხმების ფორმით.

13.4. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.5. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

მუხლი14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მხარეთა რეკვიზიტები :

შემსყიდველი

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი
„ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“
ს/კ 205339944
მის: ქ.თბილისი ფანჯიკიძის ქ. N1ა

სახელმწიფო ხაზინა
კოდი:TRESGE22

დირექტორი:
მამია ჯანჯალია ----------

მიმწოდებელი

შპს „სავარძელი“

ს/კ 405193348
მის: ქ. თბილისი, კ. შევარდენიძის ქ. N9 ბ. 37
ერისთავის ქ. N5
პროკრედიტ ბანკი
კოდი: MIBGGE22
ანგ. NGE66PC0443600100006627

დირექტორი:
ქეთევან ზარანდია ----------